

მოქალაქის საბიუჯეტო გზამკვლევი

რა უნდა ვიცოდეთ ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ

ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება მნიშვნელოვანია, რადგანაც მოქალაქეები გადასახადის გადამხდელები არიან და უფლება აქვთ იცოდნენ, რა ფინანსდება მათ მიერ გადახდილი გადასახადებით. თითოეულ მოქალაქეს ასევე უფლება აქვს გამოთქვას მოსაზრებები ბიუჯეტის შესახებ და დააფიქსიროს საკუთარი საჭიროება, რაც ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს. მოქალაქეების ინტერესი მათი მუნიციპალიტეტის თუ ქალაქის ბიუჯეტისადმი ყოველთვის დიდია, ვინაიდან ბიუჯეტით გვარდება ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემები და საჭიროებები.

გამომდინარე იქიდან, რომ ყველა მოქალაქეს არ შეუძლია გაერკვეს საბიუჯეტო ლაბირინთებში, პრაქტიკაში არსებობს გამარტივებულ ენაზე შედგენილი მოქალაქის საბიუჯეტო გზამკვლევი. მისი უმთავრესი დანიშნულებაა მიაწოდოს მოქალაქეებს მარტივ ენაზე დაწერილი საბიუჯეტო ინფორმაცია.

მოქალაქის საბიუჯეტო გზამკვლევი - ეს არის მარტივ, პოპულარულ ენაზე შედგენილი ბიუჯეტი და საბიუჯეტო პროცედურები. მოქალაქის საბიუჯეტო გზამკვლევი არსებობს როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტებისთვის.

თითოეული მოქალაქე მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს საკუთარი თვითმმართველობის ბიუჯეტში გარკვევას და უნდა ეცადოს ეცადოს მასში გაარკვიოს სხვა პირებიც (საკუთარი ოჯახის წევრები, მეზობლები, კოლეგები და სხვ.). ამასთან, მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, რომ ბიუჯეტით მხოლოდ საჯარო სერვისები ფინანსდება (გვარდება საჯარო პრობლემები) და არა კერძო. მაგალითად, ბიუჯეტიდან ფინანსდება დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების და ნარჩენების გატანის ღონისძიებები, ადგილობრივი გზების მოწესრიგება, გარე განათება და სხვა საერთო სარგებლობის სერვისები. ბიუჯეტიდან შეუძლებელია დაფინანსდეს კონკრეტული სახლის კეთილმოწყობა და ფიზიკური პირის სხვა კერძო პრობლემები თუ საჭიროებები.

ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები და საჭიროებები მხოლოდ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. მათი ჩამონათვალი მოცემულია ქვემოთ. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ადგილობრივი ბიუჯეტი ფინანსური სახსრების ერთობლიობაა. მასში თავმოყრილია ყველა ის ფულადი რესურსი, რაც იხარჯება წლის განმავლობაში ადგილობრივი საჭიროების დასაფინანსებლად.

ადგილობრივ ბიუჯეტზე ინფორმაცია მოქალაქეს შეუძლია ნებისმიერ ეტაპზე მიიღოს. ამაში მოქალაქეს საბიუჯეტო კალენდარი ეხმარება.

საბიუჯეტო კალენდარი არის დროს პერიოდში დალაგებული საბიუჯეტო აქტივობები, რასაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ:


ყოველი წლის 1 მარტიდან	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით მერია იწყებს მუშაობას, რისთვისაც გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და განსაზღვრავს პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხას, ასევე წარდგენის ვადებს
არაუგვიანეს 15 ივლისამდე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს
არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცნობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს
არა უგვიანეს 15 ნოემბრისა	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან მერი წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც ბიუჯეტის პროექტს განსახილველად წარუდგენს საკრებულოს
არა უგვიანეს 15 ნოემბრისა	მერია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს საკრებულოს და ფინანსთა სამინისტროს
საკრებულოში წარდგენიდან 5 დღეში	ბიუჯეტის პროექტი უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის. საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ
არა უგვიანეს 25 ნოემბრისა	შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარე ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მერს
არა უგვიანეს 10 დეკემბრისა	ბიუჯეტის პროექტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტს მერი წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს
არაუგვიანეს 31 დეკემბრამდე	საკრებულო ამტკიცებს ადგილობრივ ბიუჯეტს
ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 დღისა	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კვარტალურ ან/და ყოველთვიურ განწერას
ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში	მერიის საფინანსო სამსახური ამზადებს ანგარიშს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით
ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში	მერია საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან
არა უგვიანეს 1 მარტამდე	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და წარუდგენს საკრებულოს
არა უგვიანეს 1 მაისისა	საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ

რა ნაწილებისგან შედგება ადგილობრივი ბიუჯეტი

ბიუჯეტი ფინანსური დოკუმენტია და მასში დეტალური გარკვევა სპეციალურ ცოდნას საჭიროებს. ძალიან მარტივად, ადგილობრივი ბიუჯეტი ადგილობრივი პოლიტიკის გატარების ფინანსური ინსტრუმენტია. ანუ, ბიუჯეტიდან იხარჯება ფული სხვადასხვა ადგილობრივ ღონისძიებებზე, ამიტომაც ბიუჯეტს გააჩნია ხარჯვითი ნაწილი. იმისათვის, რომ ბიუჯეტიდან მოხდეს თანხების ხარჯვა, მას სჭირდება საშემოსავლო ნაწილი. შესაბამისად, ბიუჯეტი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველ ნაწილში, ძირითადად მოცემულია **ბიუჯეტის შემოსავლები**, მეორე ნაწილში, კი – **ბიუჯეტის ხარჯები**.

იმისათვის, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეძლოს ბიუჯეტის ხარჯვა, ანუ სხვადასხვა ადგილობრივი პრობლემის მოგვარება, საჭიროა ჯერ ბიუჯეტში ჩაირიცხოს შემოსავლები სხვადასხვა ვალდებული პირის მიერ (გადასახადის, მოსაკრებლის, ჯარიმებისა და სხვა გადასახადის გადამხდელები) და შემდეგ მოხდეს მათი ხარჯვა, ისე, როგორც ეს ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაშია. ოჯახის წევრები სხვადასხვა გზით იღებენ შემოსავლებს (ხელფასი, ქირა, ნამეტი პროდუქციის გაყიდვა და სხვ.) და შემდეგ ხდება მათი ხარჯვა.

თვითმმართველი ქალაქის ბიუჯეტის სტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:



საიდან ირიცხება ბიუჯეტში შემოსავლები

ბიუჯეტში შემოსავლები ირიცხება სხვადასხვა წყაროდან. კერძოდ, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა სახის გადასახდელებისგან. ადგილობრივი თვითმმართველობა ყიდის ან იჯარით გასცემს საკუთარ ქონებას, საიდანაც ბიუჯეტში ირიცხება დამატებითი შემოსავლები. ასევე, თვითმმართველობას საშუალება აქვს აიღოს სესხი და გრანტი. ფინანსურად ღარიბი ადგილობრივი თვითმმართველობები კი ცენტრალური მთავრობის მიერფინანსდებიან ე.წ. ტრანსფერების სახით.

თვალსაჩინოებისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის შემოსავლების წყაროები მოცემულია ქვემოთ. ცხრილში აღრიცხულია ყველა ის შემოსავალი, რაც შეიძლება მიიღოს ადგილობრივმა თვითმმართველობამ. გვერდით მოცემული განაკვეთი, ანუ გადამხდელის მიერ გადახდილი თანხიდან რა პროცენტს მიიღებს ადგილობრივი თვითმმართველობა და რა ჩაირიცხება სხვა დონის ბიუჯეტში (სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში). მაგალითად, როდესაც ცხრილში წერია 100%, ეს ნიშნავს იმას რომ გადახდილი თანხა სრულად ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში ირიცხება. თუ ცხრილში წერია 50%, ეს ნიშნავს რომ გადახდილი თანხის ნახევარი ირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში, ხოლო მეორე ნახევარი - სხვა ბიუჯეტში.

ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების შემოსავლები

შემოსავლის სახეობა	% ჯამური შემოსავლიდან
ადგილობრივი გადასახადები	
ქონების გადასახადი	100%
ადგილობრივი მოსაკრებლები	
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	100%
მშენებლობის დაწყების მოსაკრებელი	100%
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	100%
მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	100%
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი	100%
სხვა შემოსავლები	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი	100%
გაშემოსავლებისსახელმწიფოებრივიაქტივებისგაყიდვიდან, რომლებიცმდებარეობსთვითმმართველობისტერიტორიაზე	35%
დივიდენდები ადგილობრივი ხელისუფლების წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების და კერძო საწარმოების მოგებიდან	100%
შემოსავალი სახელმწიფო მიწის იჯარაში და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სარგებლობაშია	100%
შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა, იჯარა და სხვა) გადაცემიდან	100%
სანებართვო მოსაკრებელი, გადახდევინებული ადგილობრივი	100%

თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	
სახელმწიფო ბაჟი, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100%
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100%
შემოსულობა გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემიდან	100%
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურების მიერ	10%
შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული ქონების (გარდა მიწისა) იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	100%
შემოსავალი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის გადახდილი ჯარიმებიდან	60%
შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემიდან	100%
შემოსავალი სხვა ჯარიმებიდან და საურავებიდან, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100%
შემოსავალი მიმდინარე ტრანსფერებიდან, შემოწირულებებიდან და ქველმოქმედებიდან	100%
შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან	100%
შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	100%
შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე	50%
შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან	100%
შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე	65%
შემოსულობა ფინანსური აქტივებიდან და ვალდებულებებიდან, განკუთვნილი ადგილობრივი თვითმმართველობისათვის	100%

რა შეიძლება დააფინანსოს თვითმმართველობამ ადგილობრივი ბიუჯეტიდან

ადგილობრივმა თვითმმართველობამ ბიუჯეტიდან ფული შესაძლებელია დახარჯოს მხოლოდ **საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების დასაფინანსებლად**. მოქალაქეს შეუძლია მიმართოს ადგილობრივ თვითმმართველობას ქვემოთ ჩამოთვლილი საჯარო სერვისების მოსაწესრიგებლად და პრობლემათა მოსაგვარებლად (ე.წ. საკუთარი უფლებამოსილებები).

ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებები ისეთი უფლებამოსილებებია, რომელთა განხორციელებაზე ხარჯების გაწევა მათ შეუძლიათ ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად. ესენია:

- თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება;
- ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში;
- ინვესტირების მიმართულებების, საკუთარი, აგრეთვე ერთობლივი მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად საჭირო სახსრების განსაზღვრა და თვითმმართველ ერთეულში ინვესტიციების ხელშეწყობა; ხელშეკრულების დამტკიცება ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით, სხვა თვითმმართველ ერთეულთან საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ;
- ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;
- დასაქმების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცება;
- თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა; თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვისა და ქონებით სარგებლობის წესების დადგენა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, იურიდიული პირების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
- თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა და განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- მიწათსარგებლობის დაგეგმვა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად (გამწვანების, დასვენების, სამრეწველო, სავაჭრო და სხვა სპეციალური ზონები) დაყოფა, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ტყისა და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვა;
- მშენებლობის ნებართვის გაცემა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარე მშენებლობაზე ზედამხედველობა;
- ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანის რეგულირება: მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურებისა და ადგილობრივი გადაზიდვების წესების, მარშრუტებისა და გრაფიკების განსაზღვრა და შესაბამისი ნებართვების გაცემა;
- გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;
- გარე რეკლამის განთავსების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრა და პარკირების წესების დადგენა;
- დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, გარე განათება, სანიაღვრე მეურნეობის, კანალიზაციის, ნაგავსაყრელების მოწყობა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ შესრულებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება;
- სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;

- თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება, შესაბამისი პროგრამების დამტკიცება, გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება ან მათ შესრულებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა;
- თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა, შესაბამისი ნორმებისა და წესების განსაზღვრა;
- მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება;
- თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების დამტკიცება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის ორგანიზება;
- მუნიციპალური არქივის შექმნა და საარქივო მომსახურების ტარიფების დადგენა;
- სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმინისტრაციო დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით შექმნა და მათი წესდებების დამტკიცება;
- თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების შემუშავება და დამტკიცება;
- თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური რესურსების მობილიზება, შესაბამისი ღონისძიებების (ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობის რისკფაქტორების იდენტიფიცირება) შემუშავება, განხორციელება და ამის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირება;
- თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური სახანძრო უსაფრთხოებისა და სამშველო ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო მოძრაობის დაგეგმარება;
- შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ადგილობრივი შესყიდვების განხორციელება;
- ქუჩებისა და მოედნების სახელდება და ნუმერაცია.

ადგილობრივ თვითმმართველობებზე დელეგირებული უფლებამოსილებებია:

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“, „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის

შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ,, საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება. თუმცა, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა თვითმმართველ ქალაქებზე არ არის დელეგირებული. ასევე, 2012 წელს ქალაქ ბათუმს ცენტრალური ხელისუფლებიდან არ ჰქონია რაიმე უფლებამოსილება დელეგირებული. თუმცა, სხვა წელს ეს შესაძლოა განხორციელდეს. დელეგირებული უფლებამოსილებების შესახებ ინფორმაცია ყოველი წლის სახელმწიფო ბიუჯეტში აისახება. ამიტომაც, მოქალაქეები უნდა დააკვირდნენ არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტსაც.

როგორ ჩავერთოთ ქალაქის საბიუჯეტო პრიორიტეტების დადგენაში

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ჩაერთოს ქალაქის საბიუჯეტო პრიორიტეტების დადგენაში. ადგილობრივი ხელისუფლება კი თავის მხრივ ვალდებულია განახორციელოს ადგილობრივი პრიორიტეტების დადგენა და მასში ადგილობრივი მოქალაქეების ჩართვა. მოქალაქეებს ქალაქის საბიუჯეტო პრიორიტეტების დადგენისთვის შეუძლიათ შემდეგი აქტივობები განახორციელონ:

- თავისი ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლისთვის (დეპუტატი საკრებულოში ან რწმუნებული) წინადადების მიწოდება ან მისთვის საბიუჯეტო ინფორმაციის გამოთხოვა;
- ბიუჯეტის პროექტის განხილვაში დასწრება როგორც მერიაში, ასევე საკრებულოს სხდომაზე, სხდომაზე სიტყვით გამოსვლა და პრიორიტეტების დასახელება;
- განცხადების ან პეტიციის ხელმოწერა, მათი შეტანა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (საკრებულო და მერია).

რას ნიშნავს პროგრამული ბიუჯეტი

2013 წლიდან ადგილობრივი ბიუჯეტები პროგრამული ბიუჯეტის ფორმით დგება. ეს მნიშვნელოვანი სიახლეა ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის და მიზნად ისახავს საბიუჯეტო ხარჯების მეტ დეტალიზაციას და გამჭვირვალობას, ვიდრე ეს სადღეისოდ არის და გასულ წლებში იყო.

პროგრამული ბიუჯეტი არის მხარჯავი დაწესებულების (მერიის სამსახურები, არასამეწარმეო იურიდიული პირები და სხვა) მიერ დასახული პრიორიტეტების მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების, პროექტების, ღონისძიებებისა და მათი ბიუჯეტების მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორთა ერთობლიობა.

პროგრამული ბიუჯეტი უზრუნველყოფს შემდეგი ამოცანების შესრულებას:

- გვიჩვენებს დასაფინანსებელ სხვადასხვა ადგილობრივ საჭიროებებს (სერვისებს);
- გეგმავს და დროში ანაწილებს განსახორციელებელ საქმიანობებს;
- ადარებს ბიუჯეტის მოთხოვნებს გაწეულ ხარჯებთან;
- ფოკუსირებას ახდენს მოქალაქეთა მონაწილეობასა და ჩართულობაზე;
- შედეგად მოაქვს უფრო გამჭვირვალე ბიუჯეტის დოკუმენტი.

პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი უპირატესობა ტრადიციულ ბიუჯეტთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა დაგეგმვის პროცესიდანვე ბიუჯეტი ორიენტირებული იყოს შედეგებზე. ანუ, პროგრამულ ბიუჯეტში თავიდანვე განისაზღვრება მოსალოდნელი შედეგები, რაც უნდა იქნას მიღწეული ბიუჯეტიდან სახსრების დახარჯვით.

პროგრამა წარმოადგენს ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად.

პროგრამულ ბიუჯეტში მოცემული თითოეული პროგრამა შემდეგი ინფორმაციის მომცველი უნდა იყოს:

- ✓ პროგრამული კლასიფიკაციის კოდი;
- ✓ პროგრამის დასახელება;
- ✓ პროგრამის აღწერა;
- ✓ პროგრამაში შემავალი ქვეპროგრამების და ღონისძიებების აღწერა;
- ✓ პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო ან/და შუალედური შედეგი (შესაბამისად, შესრულების ინდიკატორების ჩათვლით).

ადგილობრივ ბიუჯეტში არსებობს შემდეგი სახის მიზნობრივი პროგრამები:

- **მართვის და რეგულირების** – პროგრამა განეკუთვნება ამ ტიპს, თუ იგი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამართულ ფუნქციონირებას. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამას წარმოადგენს საკრებულოს, ასევე მერიის დაფინანსება და აღნიშნული პროგრამის აღწერა სავალდებულო არ არის, ვინაიდან მასში უმეტეს შემთხვევებში ერთიანდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების ხარჯები, სარეზერვო ფონდი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა, ასევე მსგავსი შინაარსის სხვა ღონისძიებები. მიუხედავად ამისა, სასურველია დანართში წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია, ვის მიმართ არსებული ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისთვისაა გათვალისწინებული თანხები, რა ღონისძიებების დასაფინანსებლად იქნა აღებული სესხი, რომლის ფარგლებშიც წარმოქმნილია ვალდებულებები და სხვა;
- **მომსახურების მიწოდების** – ამ ტიპის პროგრამა ორიენტირებულია კონკრეტულ გრძელვადიან შედეგებზე ან/და ემსახურება მუდმივ მიზანს. ასეთ პროგრამებში ერთიანდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უშუალოდ მომსახურებას უწყევს ბენეფიციარს და არ ახდენს მის სუბსიდირებას. მისი ქვეპროგრამებისთვის მოკლევადიანი შედეგები განისაზღვრება კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით. ასეთ შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დაფინანსებით ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომელთა ბენეფიციარებიც პირდაპირ მოსახლეობა ან მათი მომსახურე არამომგებიანი დაწესებულებებია;

- **სუბსიდირების** – მსგავსი ტიპის პროგრამების ქვეპროგრამები და ღონისძიებები მიზნად ისახავენ სხვადასხვა სოციალური ფენის ან ობიექტების სუბსიდირებას, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მხრიდან დახმარების და თანამონაწილეობის სახით. სუბსიდირების პროგრამების ქვეპროგრამების შეფასების ინდიკატორები ასევე გამოისახება რაოდენობრივ მაჩვენებლებში, ხოლო პროგრამის საბოლოო შედეგი ხშირ შემთხვევაში იქნება მოსახლეობის გარკვეული ფენის მდგომარეობის ან გარკვეული სფეროს მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გამოხატულება, რომელიც ასევე შეფასდება სათანადო ინდიკატორებით;
- **ინფრასტრუქტურული** – აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამები ძირითად ემსახურება სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას ან აღჭურვას. პროგრამის შუალედური შედეგი უმეტეს შემთხვევაში იქნება მსხვილი ობიექტის და ობიექტთა ჯგუფის გამართული ინფრასტრუქტურა, ხოლო საბოლოო შედეგი ის ეფექტი, რასაც აღნიშნული ინფრასტრუქტურა ემსახურება. მსგავსი პროგრამების შეფასების ინდიკატორების უმეტესობის გამოსახვა შესაძლებელია რაოდენობრივ მაჩვენებლებში.

პროგრამული ბიუჯეტის ნიმუში

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	
<ul style="list-style-type: none"> – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკრებულო; – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო (მერია); – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა – მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯი – სხვა ღონისძიებები 	
პრიორიტეტი - 1.	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
პროგრამა - პროგრამა - პროგრამა -	საგანგებო სიტუაციების მართვა; სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის ორგანიზება; წვევამდელთა სამედიცინო შემოწმება.
პრიორიტეტი - 2.	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია
პროგრამა – პროგრამა – პროგრამა –	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია თვითმმართველი ერთეულის კეთილმოწყობის ღონისძიებები
პრიორიტეტი - 3.	განათლება
პროგრამა –	სკოლამდელი განათლება (საბავშვო ბაღები)
პრიორიტეტი - 4.	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი
პროგრამა – პროგრამა – პროგრამა – პროგრამა –	სპორტის განვითარების ხელშეწყობა კულტურის განვითარების ხელშეწყობა საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა
პრიორიტეტი - 5.	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზურუნველყოფა
პროგრამა - პროგრამა –	საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები ადგილობრივი სოციალური დაცვის პროგრამები

სად შეიძლება გავვეცნოთ ადგილობრივ ბიუჯეტს ან მის პროექტს მიღებამდე

კანონით სავალდებულოა ადგილობრივმა თვითმმართველობამ ბიუჯეტი (მასში ცვლილებები და დამატებები) გამოაქვეყნოს ბეჭდვით ორგანოში (ადგილობრივი გაზეთი) და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში (www.matsne.gov.ge).

მოქალაქეს შეუძლია ბიუჯეტი გამოითხოვოს თვითმმართველობიდან წერილობითი ფორმით, როგორც საჯარო ინფორმაცია. თუმცა, ამ შემთხვევაში, მოქალაქემ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის მოსაკრებელი უნდა გადაიხადოს. ამდენად, ბიუჯეტის მიღება შესაძლებელია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ფორმით.

მომზადებულია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ.
2012 წ. ოქტომბერი.